პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 53 (6118)

16 მარტი, ხუთშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთი

გუშინ თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა" და ესპანეთის ქალაქ სევილიის „რეალ-ბეტისს" შორის (პირველი მატჩი სევილიაში დამთავრდა ფრედ — 0:0).

დინამოელებმა ალმავლობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით—3:0.




# ...„იტყვიან თავიანთ სიტყვას"

**გვესაუბრება სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ფილატოვი.**

**მრავალი** სახელგანთქმული მოთხილამურე ეწვია წელს სასპარტაკიადო ბაკურიანს. ევგენია სიდოროვა-კაზინა და დიმიტრი როსტოვცევი, ალექსანდრა არტიომენკო და ვიქტორ ტალიანოვი, ლიუბოვ ვოლკოვა და ტალია მონასტირიოვი, მაგრამ მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო 40-50-იანი წლების ერთ-ერთი სახელგანთქმული სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის ოცდაათგზის ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ალექსანდრე ფილატოვი**, რომელსაც ამ დღეებში 50 წელი შეუსრულდა.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა სახელმოხვეჭილ იუბილარს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

**— პირველ რიგში, ჩვენი გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით გილოცავთ ნახევარსაუკუნოვან თარიღს. ახლა კი ტრადიციული კითხვა: როგორ წარიმართა თქვენი სპორტული ცხოვრება?**

— ექვსი წლისა თუ ვიქნებოდი, როცა პირველად დავდექი თხილამურებზე. მაშინ ჩვენი ოჯახი მოსკოვში, ვორობიოვის (ახლანდელი ლენინის) გორაზე ცხოვრობდა. უბნის ტოლ-ბიჭები, როგორც წესი, თოვლიან ფერდობებზე ვაღამებდით, გორაკებიდან თხილამურებითა და ციგებით ვეშვებოდით. ზაფხულობით ფეხბურთი და რეგბი გვიტაცებდა. სხვათა შორის, მოგვიანებით რეგბიში მოსკოვის ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ თხილამურები მაინც ყველაფერს მერჩივნა. გადიოდა წლები და, რომ იტყვიან, სულ უფრო მყარად ვდგებოდი თოვლზე. ბედმა გამიღიმა — შესანიშნავი მწვრთნელისა და გულისხმიერი ადამიანის ვლადიმერ ნაგორნის ჯგუფში მოვხვდი. სწორედ მას ვუმადლი მოპოვებულ წარმატებებს. პირველი სიხარული 1944 წელს სვერდლოვსკში განვიცადე — საბჭოთა კავშირის პირველობაზე ცნობილი მოთხილამურის ვლადიმერ პრეობრაჟენსკის შემდეგ II ადგილი დავიკავე. მაშინ სულ 16 წლისა ვიყავი. მომდევნო წელიწადს უკვე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი მოვიპოვე. მას შემდეგ კიდევ 29-ჯერ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. უკანასკნელი „ოქრო" 40 წლის ასაკში მოვიხვეჭე.

**— რას გვეტყვით ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების დებიუტზე?**

— ჩვენმა მოთხილამურეებმა ოლიმპიურ თამაშებზე პირველად 1956 წელს კორტინა დ' ამპეცოში (იტალია) სცადეს ძალა. ჩვენ უფრო ადრე, 1948 წლის ოლიმპიადისთვისაც ვემზადებოდით, ბაკურიანში საწვრთნელი შეკრებაც გავიარეთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მაშინ ოლიმპიური დებიუტი არ შედგა. საინტერესოა, რომ ჩვენთან

(დასასრული მე-2 გვ.).

# ფინიშის სწორზე

## გ. შამყულაშვილი — ვერცხლის პრიზიორი

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაზე სვერდლოვსკის სპორტის სასახლეში უკვე დამთავრდა მოზარდთა ტურნირი ფიგურულ სრიალში. აი, როგორ შეფასებას აძლევს იუნიორთა ასპარეზობას მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი და ოლიმპიური ჩემპიონი ა. გორშკოვი.

— ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ჭაბუკების ბრძოლამ. 24 მონაწილეს შორის შეიძლება გამოიყოს ერთი ათეული ნიჭიერი მოზარდი მაინც, რომლებსაც უმაღლესი სირთულის პროგრამის ათვისების უნარი აქვთ. ისინი ახლავე ასრულებენ ნახტომში სამ ბრუნს, დიდი სისწრაფით სრიალებენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ძლიერი ლენინგრადელი ვ. კოტინი, მსუბუქი და მოქნილი ხარკოველი ვ. ეგოროვი, თბილისელები — არტისტული ბ. ყურაშვილი და შეუპოვარი გ. შამყულაშვილი..., მაგრამ ახალგაზრდების წინაშე დღეს დგას მთავარი, ვარჯიშების სტაბილურად შესრულების პრობლემა. კანადის მსოფლიო ჩემპიონატის გაკვეთილები ყველასთვის თვალსაჩინოა — წარმატების გარანტიას იძლევა ტალანტი და ყველა ელემენტის შესრულების სტაბილურობა...

გამოჩენილ სპორტსმენს ეს სიტყვები მოვალეობის მოხდის მიზნით როდი უთქვამს. თბილისის პიონერთა სასახლის ფიგურული სრიალის სკოლის აღსაზრდელებმა ყურაშვილმა და შამყულაშვილმა ნამდვილად დაიმსახურეს მისი ყურადღება. ყურაშვილმა, რომელიც „სკოლაში" ძალიან ეჭვიროდ გამოვიდა, მერე მოკლე და ნებისმიერ პროგრამებში ბრწყინვალედ იასპარეზა და საბოლოოდ VII ადგილი დაიკავა.

უფრო შორს წავიდა გ. შამყულაშვილი. ამ ყმაწვილმა 166,06 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. მან მხოლოდ ვ. კოტინს დაუთმო უძლიერესის სახელი — 172,46 ქულა. III ადგილი წილად ხვდა უკრაინელ ვ. ეგოროვს — 163,4.

შამყულაშვილისა და ყურაშვილის გარდა საქართველოს გუნდს ქულები მოუპოვეს, აგრეთვე, გოგონებში — ი. გილაურმა, რომელმაც 28 მონაწილესთან ბრძოლაში IX ადგილი მოიგო და ნ. მამუკაშვილ — ნ. დვალიშვილის დუეტმა, თუმცა ისინი XVII ადგილზე გავიდნენ.

სპარტაკიადა ფინიშს უახლოვდება — მისი შედეგები ორიოდე დღის შემდეგ შეჯამდება, და რაც უფრო ახლოა ეს დღე, ბრძოლები მით უფრო საინტერესო, დაძაბული ხდება.

ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში ჩვენმა ოლიმპიელებმა მთელი რიგი წარუმატებლობების შემდეგ ბოლოს და ბოლოს შეძლეს ეთქვათ თავიანთი სიტყვა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კულაკოვამ (უდმურტთა ასსრ) ძირითადად ზ. ამოსოვასა (სვერდლოვსკი) და რ. სმეტანინასთან (კომის ასსრ) ბრძოლაში მიმდინარე სეზონში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა — 32.56,27. ამოსოვა მას 15,5 წამით ჩამორჩა, ხოლო რ. სმეტანინა ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — 33.23,27.





გოგონათა შორის ამავე დისტანციაზე რბენა მოიგო ბელორუსიის გუნდის წევრმა გ. კულეშოვამ — 17.04,9, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. ვშივენკოვა (სვერდლოვსკი) — 17.10,17 და ნ. კუზნეცოვა (უდმურტთა ასსრ) — 17.14,83.

გაიმართა 15 კილომეტრზე მორბენალ იუნიორთა შეჯიბრება. უნდა ითქვას, რომ სათხილამურო რბოლებში ძალიან კარგად გამოდიან მასპინძლები — სვერდლოვსკის ოლქის წარმომადგენლები. აქაც სწორედ ამ გუნდის წევრმა გ. პანკოვმა იმარჯვა — 50.12,06.

ბიატლონისტებმა დავა დაამთავრეს. ბოლო დღეებში იუნიორები 15 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვაჟები — 20 კილომეტრზე. იუნიორთა შეჯიბრებაში ნოვოსიბირსკელმა გ. არტემიევმა 2 სამიზნეს დააცილა ტყვია და მაინც პირველობა დიდი უპირატესობით მოიგო — 58.05,04. ვ. არდეევს (ალტაის მხარე) სამჯერ აუცდა ტყვია — 58.53,54. სამაგიეროდ ქ. ფომიჩევი (მოსკოვის ოლქი) სნაიპერული სიზუსტით ისროდა, მაგრამ მესამე ადგილზე მაღლა მაინც ვერ ავიდა — 59.27,30.

ვაჟთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მიიღო ვ. ტოლკაჩოვმა (ბელორუსია), რომელმაც 20 კილომეტრის გავლას 1 საათი, 7 წუთი და 27 წამი მოანდომა. ოლიმპიური ჩემპიონი ნ. კრუგლოვი (გორკის ოლქი) — 1:08.43 და ა. ელიზაროვი (მოსკოვის ოლქი) — 1:09.21 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

„იუნოსტის" სტადიონზე ბრძოლაში ჩაებნენ მოციგურავე ქალები. 1500 მეტრზე მოსკოველმა ტ. ავერინამ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 2.16,37. მან თანაგუნდელ ნ. პეტროსოვას 0,61 წამით მოუგო. ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღემდე სპარტაკიადაში ლიდერის — მოსკოვის გუნდის მიერ მოგროვებულ 2727,875 ქულიდან უმეტესობა მოციგურავეების წილად მოდის. მარტო ს. მარჩუკმა, რომელმაც ბოლო დღეს 10 ათას მეტრზე დაბლობის საციგურაოებისთვის მსოფლიო მიღწევა (14.47,28) დაამყარა, თავის კოლექტივს 516 ქულა მოუტანა.

შეჯიბრება დაამთავრეს ერთადგილიანი ციგებით მოასპარეზე ვაჟებმა. ბრძოლა ძირითადად ლატვიისა და მოსკოვის სპორტსმენებს შორის მიმდინარეობდა. გაიმარჯვა ვ. შიტოვმა — 2.32,81. მეორე ადგილზეც მოსკოველი ვ. იაკუშინი (2.32,98) გავიდა. მომდევნო სამი ადგილი კი ლატვიელებს პ. ციმანის, ა. კრიკისსა და ი. ესაკსს ერგოთ. ბაკურიანელმა ფ. ქუმარიტაშვილმა XI ადგილი დაიკავა (2.35,22) და გუნდს ქულები მოუპოვა.

სპარტაკიადა გრძელდება.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული ლ. ლიადოვა (სვერდლოვსკის ოლქი) დისტანციაზე; სპარტაკიადის მონაწილე ლატვიელ მოციგავეთა ერთი ჯგუფი მარცხნიდან — ა. კრიკისი, ქალთა შორის ჩემპიონი ვ. ზოზულია და დ. ბრიომზე.

# ინტერვიუ ტელეფონით

# 4,5 ქულა 5-დან

**როგორც ცნობილია, ბელგრადში (იუგოსლავია) მიმდინარეობს 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი მონაწილეობს. გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით ბელგრადს და ვესაუბრეთ ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ა. ჰიჰინაძეს.**

— ტრადიციულ ტურნირში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ნონას გარდა მასში მონაწილეობენ საერთაშორისო დიდოსტატები ა. ნიკოლაუ-მიიე (პოლანდია), მ. ივანკა (უნგრეთი), ტ. შტადლერი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატები გ. ერენსკა-რადზევსკა (პოლონეთი), ჟ. ვერეცი (უნგრეთი), ა. პიჰაილიჩი (იუგოსლავია), ი. ჰარტსტონი (ინგლისი), ბულგარელი ბ. გეორგიევა, რომელიც ახლა მეუღლის დრაგოშევიჩის გვარით გამოდის (იგი იუგოსლავიაში გათხოვდა) და ოსტატი ა. ბოგდანი (რუმინეთი). მასპინძლებმა სათამაშოდ მიიწვიეს თავიანთი ახალგაზრდა თანამემამულენი — პეტროვიჩი, რომელმაც ახლახან იუგოსლავიის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, ვუიჩი და კოვაჩევიჩი.

ტურნირში არ მონაწილეობენ დიდოსტატი მ. ლაზარევიჩი, იუგოსლავიის 1978 წლის ჩემპიონი ოსტატი თ. პროკოპოვიჩი და საერთაშორისო ოსტატი ვ. მაჩეკი (კალხბრენერი). ისინი მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირისთვის შინ ემზადებიან. მართალია, შტადლერი და პეტროვიჩიც ამ შეჯიბრების მონაწილენი არიან, მაგრამ მათ ამ ტურნირში თამაში ამჯობინეს.

ტურნირში უკვე 6 ტური გათამაშდა. 4,5 ქულით 5-დან ლიდერობს ნონა. ივანკას, ვერეცის, შტადლერსა და ჰარტსტონს 3,5-3,5 ქულა აქვთ, ოღონდ პირველ ორს ხუთი შეხვედრიდან.

ნონამ მოუგო ჰარტსტონს, კოვაჩევიჩს, ერენსკას, დაუზავდა ვერეცის და გუშინ ვუიჩი დაამარცხა. სათამაშოა კიდევ შვიდი პარტია. აი, ვის უნდა შეხვდეს იგი შემდგომ ტურებში: პიჰაილიჩს, დრაგოშევიჩს, ბოგდანს, პეტროვიჩს, ივანკას, ნიკოლაუ-მიიესა და შტადლერს. როგორც ხედავთ, მთავარ კონკურენტებთან თამაში ნონას ფინიშზე უწევს. ეს, რა თქმა უნდა, აღვივებს ტურნირისადმი ინტერესს.

შეჯიბრება 23 მარტს დამთავრდება.

## მაგიდის ჩოგბურთი

### იასპარეზებენ ნახევარფინალში

**საბჭოთა** კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდები გავიდნენ ევროპის მე-11 ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში. მათი მორიგი მეტოქეები იქნებიან უნგრელი სპორტსმენები. მეორე ნახევარფინალურ წყვილებს ქმნიან ინგლისისა და საფრანგეთის ვაჟთა და რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ქალთა კოლექტივები. ნახევარფინალებში გამარჯვებულნი გადამწყვეტ მატჩში გაარკვევენ ოქროს მედლების მფლობელის ვინაობას.

## მძაფრ ბრძოლაში

კიევი, 15 მარტი (დეპეშით). „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში კიდევ ორი ტური (VII, VIII) გათამაშდა, რითაც ფინიში დაიწყო.

VII ტურში მხოლოდ ორი შეხვედრა დამთავრდა. საქართველოს ჩემპიონმა ნ. მელაშვილმა მანევრულ თამაშში აჯობა მ. წერეთელს და მე-40 სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა. ს. ზახირევამ (მოსკოვი) მეფეზე იერიშით მოუგო რ. კარასანეს (ვილნიუსი).

VIII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონის სახელის მთავარი პრეტენდენტები ნ. ტიტორენკო (მოსკოვი) და ნ. მელაშვილი. მეტოქეებმა გაითამაშეს ჰოლანდიური დაცვა და მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს. მაგრამ ვერცერთმა მოჭადრაკემ უპირატესობა ვერ მოიპოვა. პარტია ყაიმით დამთავრდა.

ქ. მელაშვილმა სიცილიური დაცვის შევენინგენის სისტემაში ი. ოსტრის წინააღმდეგ მძლავრი იერიში ააწყო და 35-ე სვლაზე გაიმარჯვა. სხვა პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ნ. მელაშვილს 6,5 ქულა აქვს, ნ. ტიტორენკოს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (7-დან).

**გ. არნშტეინი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

## შეხვედრები ფინიშზე

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში დასკვნითი ტურები მიმდინარეობს. მოჭადრაკეები უფრო ხშირად თავს არიდებენ გართულებებს, ყაიმით კმაყოფილდებიან. სწორედ ასეთი „საყაიმო" იყო XIII ტურის შეხვედრები.

## ჭადრაკი

ა. კარპოვი დაუზავდა რ. ბირნს (აშშ), მ. ტალი — ჯ. მაილსს (ინგლისი), ბ. სპასკი — რ. ჰიუბნერს (გფრ), ი. ბალაშოვი — ვ. ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) და მ. ვუკიჩი (იუგოსლავია) — ი. ტიმანს (ჰოლანდია).

ბ. ლარსენმა (დანია) მოუგო ლ. პორტიშს (უნგრეთი), ლ. ლიუბოევიჩმა — ს. გლიგორიჩს (ორივე — იუგოსლავია.).

დაუმთავრებელი დარჩა ე. ბუკიჩ — ბ. ივკოვის (ორივე — იუგოსლავია) შეხვედრა.

სპასკიმ მოუგო გლიგორიჩს XII ტურიდან გადადებული პარტია.

13 ტურის შემდეგ ბ. სპასკის 8,5 ქულა აქვს, ა. კარპოვს, ი. ტიმანს, ლ. ლიუბოევიჩს 8-8, მ. ტალს — 7,5.

სათამაშო დარჩა ორი ტური.

# ...„იტყვიან თავიანთ სიტყვას!“

დასასრული

ერთად წვრთნას გადიოდა ბაკურიანელი სამთომოთხილამურე მიხეილ ჟავა. შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ მიხეილი თავის დროზე საქართველოს ჩემპიონი იყო სპორტის კიდევ ორ სახეობაში — ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომასა და... მძლეოსნობაში. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო იგი ადრე გამოემშვიდობა დიდ სპორტს.

რაც შეეხება ჩვენს ოლიმპიურ დებიუტს, იგი ურიგო არ იყო. კორტინა დ'ამპეცოში ევგენია სიდოროვა-კაბინამ III ადგილი დაიკავა სპეციალურ სლალომში, მე კი სწრაფდაშვებაში მე-16 ვიყავი. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ოლიმპიადაზე გამოიჩინა თავი სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა სამთომოთხილამურემ ტონი ზაილერმა, რომელმაც აქ სამი ოქროს მედალი მოიპოვა.

**— როგორ ფიქრობთ, რომელ ადგილზე გავიდოდა 50-იანი წლების ფილატოვი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაზე?**

— ალბათ ხუთეულში მოვხვდებოდი. აქვე უნდა გითხრათ, რომ დღევანდელი სათხილამურო ინვენტარი და აღჭურვილობა ისე განსხვავდება უწინდელისგან, როგორც ცა და დედამიწა. ჩემი თაობის მოთხილამურეები პრიმიტიული ინვენტარით გამოვდიოდით, წინდებში ჩატანებული ჩვეულებრივი შარვლები და უხეში ფეხსაცმელები გვეცვა. ცხადია, მაშინ ოცნებაც არ შეგვეძლო თანამედროვე აღჭურვილობაზე.

**— რა აზრის ხართ საბჭოთა სამთო-სათხილამურო სპორტის დღევანდელ დონეზე?**

— მართალია, ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით საერთაშორისო მოთხოვნებს, მაგრამ ამ ბოლო წლებში გარკვეული წინსვლა იგრძნობა. მისასალმებელია, რომ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები უკვე მსოფლიო ჩემპიონატებში და თასის გათამაშებებში ცდიან ძალას. გამოჩნდნენ პერსპექტიული სამთომოთხილამურეები: ვ. მაკეევი, ვ. ანდრეევი და სხვ. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს წლებში ჩვენი სპორტსმენებიც იტყვიან თავის სიტყვას საერთაშორისო ასპარეზზე.

**— თუ ჩვენს ქვეყანას პატივი ხვდა უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, თქვენი აზრით, რომელ სათხილამურო ბაზას უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა?**

— ალბათ არხიზის ხეობას, რომელიც ტერსკოლის მახლობლად მდებარეობს. რაც შეეხება უკვე ცნობილ ზამთრის ცენტრებს, უპირველესად დავასახელებდი ბაკურიანს, რომლის თოვლი, ჰაერი და მზე შეუდარებელია. კოხტაგორას ტრასებიც საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ სირთულით მაინც ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტებს. სასურველია გაიზარდოს საბაგირო გზების რაოდენობა, კოხტაგორაზე მოეწყოს მუდმივი სატელეფონო და რადიოკავშირი...

საუბარი ჩაიწერა
ო. ნოზაძემ.

---

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა!

# ექნებათ საკუთარი კომპლექსი

**რუსთავის** ქიმიურ ქარხანაში (დირექტორი გ. გოგოლაძე) წარმატებით გაანაღდეს X ხუთწლედის მეორე სამეურნეო წლის სახელმწიფო დავალება და მიმდინარე წელიც კარგად დაიწყეს. მაგრამ ამჯერად ჩვენ მათ შრომით მიღწევებზე კი არ შევჩერდებით, არამედ მოგითხრობთ სპორტული კორპუსის მშენებლობის შესახებ, რომელიც აქ აიგება და ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა იქნება რესპუბლიკაში.

ქარხანაში 4 ათასზე მეტი კაცი შრომობს. მათგან 1700-ზე მეტი ფიზკულტურელია, რომელთა განკარგულებაშია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები. ქიმიკოსთა კულტურის სახლში აქვთ დარბაზიც. მაგრამ ეს ბაზები გაზრდილ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებენ. ამიტომაც ქარხნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დახურული სპორტული კომპლექსის აგება.

ტიპური პროექტის გადაკეთება სთხოვეს თბილისის სამხატვრო-საწარმო კომბინატს, ხოლო საქვაბისა და გარე ქსელების პროექტის მომზადება — ქალაქის არქიტექტურულ განყოფილებას. სამწუხაროდ, ვერც ერთმა და ვერც მეორე ორგანიზაციამ ყველა დავალება ბოლომდე ვერ მიიყვანა, რის გამო მშენებლებს საჭირო დოკუმენტაციათა ნაწილი დღესაც მისაღები აქვთ, ეს კი მშენებლობას აფერხებს.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ ქარხანაში სპორტული კომპლექსის მშენებლობის დაჩქარებისთვის სათანადო ღონისძიება დაისახა. აქ სულ 214 ათასი მანეთი უნდა დახარჯულიყო. უკვე მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა.

დამკვეთიდან ყოველგვარი შეფერხება გამორიცხულია, ახლა მხოლოდ შრომის ტემპის გაზრდაა საჭირო, რომ ქიმიკოსებმა სასურველი ბაზა დროულად მიიღონ.

ქარხნის ფიზკულტურის უფროს ინსტრუქტორ ე. გოგინაშვილთან და № 1 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელ ვ. ფირცხალავასთან ერთად ვათვალიერებთ სპორტული კორპუსის მშენებლობას. აქ იქნება ფრენბურთისა და კალათბურთის სათამაშო ბაზები, ჭიდაობისა და ძალოსნობის დარბაზები, აუზი, ჭადრაკის ოთახი, გასახდელები, სათავსოები...

— მშენებლობის დაწყებიდან აქ ვიმყოფები, — გვიხსნის ფირცხალავა — ბევრი რამ გაკეთდა, გასაკეთებელიც ბევრია. განსაკუთრებით გვაფერხებს წინა ფასადის მოპირკეთების პროექტის უქონლობა...

იმ დღეს აქ მე-4 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადა ს. სულავას ხელმძღვანელობით მუშაობდა, სხვა უბანზე მე-6 სამშენებლო სამმართველოს მომპირკეთებლები (ხელმძღვანელი ა. კაშმაროვი) საქმიანობდნენ. სანტექმონტაჟს ე. მაჩაიძის ბრიგადის წევრები აწარმოებენ.

ყველა ხალისით, გულმოდგინედ შრომობს.

რ. გაბრიჩიძე.

• • •

**სურათებზე:** მომპირკეთებლები სპორტულ კორპუსზე მუშაობისას; მემონტაჟეთა ბრიგადირი ს. სულავა (მარცხნიდან პირველი) დავალებას აძლევს ელექტროშემდუღებელ გ. ჩხუტიაშვილსა და მემონტაჟე ი. კუჭაიძეს; ზეინკალ-აირშემდუღებელთა ბრიგადირი ე. მაჩაიძე (მარცხნივ) და ელექტროშემდუღებელი გ. გრიშკინი.

ავტორის ფოტოები.





---

# ქომაგთა გულისნადები

**ჯერ** კიდევ ბად-კისინგენში პრეტენდენტთა ფინალური მატჩის დაწყებამდე იღებდა „ლელოს“ რედაქცია მკითხველთა წერილებს. გულშემატკივრები გამარჯვებას უსურვებდნენ სსრ კავშირის ჩემპიონ მ. ჩიბურდანიძეს, ამხნევებდნენ მას.

სარედაქციო ფოსტა ბევრად გაიზარდა მაიას ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ. თანამემამულენი დეპეშებით, წერილებით, ლექსებითა და საჭადრაკო ამოცანებით ულოცავდნენ მას დიდ წარმატებას, საბჭოთა ჭადრაკის განდიდებას.

„გვიხარია, ვამაყობთ და მაიას ვეხვევით“, გვწერდნენ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის პედაგოგები. „მოლოდინი გაგვიმართლდა, გმადლობთ გამარჯვებისთვის“, უთვლიან მაიას კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის კომკავშირელები. „უზომოდ კმაყოფილნი ვართ, რომ კიდევ ერთხელ გაუთქვი სახელი ჩვენს დიდებულ რესპუბლიკას“, ვკითხულობთ საქართველოს მეღვინეობის მანქანათმშენებლობის საწარმოო გაერთიანების თავკაცების წერილში. ასეთივე გულითადი, გულწრფელი სიტყვებით გამოხატავენ თავიანთ აღფრთოვანებას წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის საშუალო სკოლის მე-13 რაზმეულის პიონერები, ვანის რაიონის ზედა ვანის, თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელის, ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის, წყალტუბოს 1-ლი, ყვარლის მე-2 საშუალო სკოლების მოსწავლეები, სოხუმის პედინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტები და ბევრი სხვა ორგანიზაცია, დაწესებულება, სკოლა...

თავიანთი სიხარული ლექსებით გამოხატეს გ. ბასილაშვილმა, პენსიონერმა ვ. ხუციშვილმა, ლ. ბექაურმა, მ. ზახიკაშვილმა (ყველა — თბილისი), რ. ლორიამ (ლანჩხუთი), შ. მახარაძემ (ბათუმი), შ. მამისონმა (ქუთაისი), ე. აბაიშვილმა (რუსთავი) და სხვებმა.

მაიას გამარჯვება მთელს საბჭოთა კავშირში გახმიანდა. ამიტომაც ბევრი მისალოცი დეპეშაა მოსული ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან. გენერალ-ლეიტენანტი ი. ჯორჯაძე (მოსკოვი), ალმაათელი მრავალშვილიანი დედა კალიმ კალიევა, ჭადრაკის მოყვარული ზ. რუსთამოვი (აზერბაიჯანი, ფიზულის რაიონი, სოფ. იაგლოვენდი) და სხვები წარმატებას ულოცავენ მაიას, საქართველოს ყველა მშრომელს.

შვეციიდან მაიას მხურვალედ მიესალმა საერთაშორისო ოსტატი კ. კაიშაური.

ზოგმა მკითხველმა მაიასადმი მიძღვნილი ნახატიც გამოგზავნა. ერთმა (სამწუხაროდ, გვარი არ მოუხსენებია) თავის ნამუშევარს „პრეტენდენტთა მრავალსაფეხურიანი რაკეტა“ შეარქვა.

რედაქციაში მიღებული ყველა წერილის და მათი ავტორების დასახელება შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ეს კორესპონდენციები მაიას გადავეცით. მან გვთხოვა, ყველა კეთილისმსურველს, გულშემატკივარს დიდი მადლობა გადავუხადოთ გაზეთის საშუალებით, რასა[illegible] სიამოვნებით ვასრულებთ.

* * *

გულშემატკივართა ბევრ წერილში არის შეკითხვები მ. ჩიბურდანიძის, ბ. გურგენიძის, ე. გუფელდის და გ. გაჩეჩილაძის მიმართ. იქნებ სხვა მკითხველებსაც სურთ შეეკითხონ მათ. მოგვწერეთ. მაიასა და მისი მწვრთნელების პასუხებს შემდგომ გამოვაქვეყნებთ.

---

ძალოსნობა

## ცხინვალის ფიცარნაგზე

**ცხინვალში** ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში 1958-60 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. 90-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი იბრძოდა რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით საბოლოოდ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები კოლექტივი, რომელიც აპრილის დასაწყისში სსრ კავშირის პირველობაზე ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავს ქალაქ ლიპეცკში.

სანამ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს შევეხებოდეთ, თვალი გადავავლოთ ძალოსნობის გეოგრაფიას საქართველოში. ჩვენთან სპორტის ამ სახეობის განვითარებას სულ 35 მწვრთნელი ემსახურება, რესპუბლიკის ნაკრებისთვის პერსპექტიულ ძალოსნებს კი მათი უმნიშვნელო ნაწილი ამზადებს. ძალოსნობის დარბაზები ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. საშველი არ დაადგა რეზინის შტანგისა და სხვა აუცილებელი ინვენტარის შეძენას. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა რესპუბლიკის პერიფერიებში. სწორედ აუცილებელი ბაზის უქონლობის გამო რესპუბლიკური შეჯიბრებები ერთ და იმავე ქალაქებში ტარდება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას. თვით ცხინვალიც კი, სადაც ძალოსნობა ერთობ პოპულარულია, ნორმალური წვრთნა-ვარჯიშის პირობებით ვერ დაიკვეხნის...

ცხინვალში გამართულმა შეჯიბრებამ ბევრი პერსპექტიული ძალოსანი გამოავლინა.

წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: **ს. ალიევი** (თბილისი) — 172,5 კგ (77,5+95), **ვ. ბალათურია** (თბილისი) 185 (80+105), **ვ. რომანჩიკი** (ფოთი) — 217,5 (95+122,5), **ს. მელაძე** (თბილისი) — 250 (110+140), **ა. ჭიტაძე** (თბილისი) — 272,5 (117,5+155), **თ. კახიძე** (ფოთი) — 280 (115+165), **ვ. არსენიევი** (ფოთი) — 295 (125+170), **რ. ძიმისტარიშვილი** (თბილისი) — 291 (125+166), **გ. დესდნასი** (ფოთი) — 280 (120+160), **ზ. ნადირაშვილი** (თბილისი) — 290 (125+165).

გუნდური I ადგილი და გარდამავალი თასი თბილისის პირველმა კოლექტივმა მოიპოვა, II ადგილი ხვდა ცხინვალის კოლექტივს, ხოლო III — თბილისის მეორე გუნდს.

**რ. გურგენიძე,**
**საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი.**

---

### ◆ გორი

**სპორტსკოლის** დარბაზში ჩატარდა ქართლის ზონის მოსწავლეთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოდიოდნენ ცხინვალის, ხაშურის, ორჯონიკიძის, ქარელის, ჭიათურის, საჩხერის, გორის, გორის რაიონის, ბოლნისისა და სხვა რაიონების წარმომადგენლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს გ. ჯინიყაშვილმა (გორი), ზ. ყიფშიძემ (ბოლნისი), ჯ. ოლგესაშვილმა (გორი), ე. ბაბლიძემ (ორჯონიკიძე), მ. ჯიოევმა (გორი), თ. მაისურაძემ (ბოლნისი), ზ. იასაშვილმა, გ. ლომიძემ, გ. ხანიშვილმა, ი. გოცირიძემ (ოთხივე — გორი), თ. წარლეკანმა (ხაშური), თ. ტალახაძემ (ორჯონიკიძე).

ი. თევდორაშვილი

[illegible]

### ◆ სოხუმი

აფხაზეთის „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის რაიონებისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნაკრები გუნდები. ჩემპიონის სახელი მოიპოვა გალის გუნდმა (თ. სიჭინავა, დ. შამუგია, კ. აქუბარდია, თ. ყოლბაია, ნ. სიჭინავა, თ. ძველაია), II ადგილზეა ოჩამჩირის, მესამეზე — სტუდენტ მოჭადრაკეთა კოლექტივი.

### ◆ გულრიფში

რაიონული სპარტაკიადის პროგრამის მიხედვით დამთავრდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 148 ათლეტი გამოდიოდა. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს დრანდის საშუალო სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ტ. დუდუქჩიანი, ზ. კეიანი (ორივე — ბოგაფოსტა), ჯ. ცალანი, თ. სიდიანი (ორივე — სკოლა-ინტერნატი), რ. სანაია (ვარჩე), ლ. წურწუმია, გ. ლოგუა (ორივე — ბაბუშარა), დ. ლაკობა, პ. სტეფანია, გ. ბარკალაია, გ. კვარაცხელია, ა. უზლიანი (ყველა — გულრიფში).

შ. ჯალაღონია.

---

წერილის კვალდაკვალ

**გასული წლის დამლევს რედაქციამ ქუთაისიდან მიიღო წერილი, რომელსაც 62 კაცი აწერდა ხელს. ქალაქის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეთა მშობლები გვატყობინებენ, რომ შენობის უვარგისობის გამო მე-5 სკოლელები დროებით მე-8 სკოლის კორპუსში გადაიყვანეს.**

**მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა. ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობაზე არავინ ფიქრობს. მე-5 სკოლის ყოფილი შენობა „კვებვაჭრობის“ აპარატმა დაიკავა, იქვე მოწყობილი სპორტული მოედნები გააუქმეს და ბავშვებს ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის საშუალება მოუსპეს.**

**რედაქციამ აღნიშნული წერილის ასლი ქუთაისის განათლების განყოფილებას გადაუგზავნა, საიდანაც გვატყობინებენ, რომ „მე-5 საშუალო სკოლის მშენებლობისთვის ტერიტორიის გამოყოფის საკითხს რესპუბლიკისა და ქალაქის კომპეტენტური კომისიები სწავლობენ. ახალი შენობის დაპროექტების დროს გათვალისწინებული იქნება თანამედროვე მოთხოვნები და სკოლას მუშაობისთვის ნორმალური პირობები შეექმნება“.**

---

# ერთი მოჭიდავის სამი ჯილდო

**ალმა-ათაში** ჩატარდა 28 გმირი გვარდიელი პანფილოველის სახელობის საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რსფსრ-ის, უკრაინის, ყაზახეთის, სომხეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, ესტონეთის და სამხრეთ ოსეთის 350 ფალავანი. აღსანიშნავია, რომ ტურნირში სამხრეთ ოსეთიდან სამი მოჭიდავე ასპარეზობდა და სამივეს წარმატება ხვდა.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა თ. სიუკაევმა 65 კგ წონითს კატეგორიაში 8 ბრძოლა ჩაატარა: 7 წმინდად მოიგო, ერთიც ქულებით წააგო — 1:9, თეიმურაზი ფინალში ყაზახეთის ჩემპიონ ი. კაშიმბაევს შეხვდა და წმინდა გამარჯვება იზეიმა. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი ყაზახეთის სპორტკომიტეტის თასითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა. მასვე გადაეცა ტურნირის ტექნიკური მოჭიდავისა და ყველაზე მეტი წმინდა გამარჯვებისთვის დაწესებული პრიზები.

სიუკაევის თანაგუნდელებმა ვ. კაზიევმა (56 კგ) და ი. თიბილოვმა (70 კგ) III ადგილები დაიკავეს.

აღსანიშნავია, რომ სამივე მოჭიდავეს სპორტის ოსტატი ყ. მარგიევი ამზადებდა.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.)

ცხინვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს თასი უხმობს რჩეულებს

● მეორე ჯგუფი: გფრ, პოლონეთი, მექსიკა, ტუნისი



## თავშეკავებული ოპტიმიზმი

### პოლონელები მსოფლიოს ჩემპიონატებში

1938 — ბრაზილიასთან 5:6.

1974 — არგენტინასთან 3:2, ჰაიტისთან 7:0, იტალიასთან 2:1, შვეციასთან 1:0, იუგოსლავიასთან 2:1, გფრ-სთან 0:1, ბრაზილიასთან (მატჩი მესამე ადგილისთვის) 1:0.

მსოფლიოს წინა ჩემპიონატში პოლონელთა წარმატებამ სრული აღიარება ჰპოვა. პოლონელები, რომლებიც ომის შემდეგ პირველად გამოდიოდნენ უმაღლეს დონეზე, ერთბაშად მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებად მიიჩნიეს. ისინი თამაშობდნენ ცეცხლოვან, შემტევ ფეხბურთს, ესოდენ რომ მოსწონს გულშემატკივარს.

შესარჩევმა თამაშებმა პორტუგალიელებთან ძნელ ბრძოლაში, პოლონელებს არგენტინის საგზურები მოუტანა. ამასთან ისიც ნათელია, რომ გუნდში დიდი ცვლილებები მოხდა. წავიდა რამდენიმე ვეტერანი, რომლებიც უდავოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთში გადავიდა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი გურსკი. ახლა იგი ათენის „პანათინაიკოსს" უდგას სათავეში. გურსკი ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ გმოხმა შეცვალა. იგი აშშ-ში ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა როგორც ინჟინერი და თავისი დანიშვნის ამბავიც იქ შეიტყო.

გმოხმა უამრავი საკონტროლო თამაში ჩაატარა. მათი ნაწილი პოლონელებმა წააგეს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მთავარი იყო კოლექტივის შეთამაშება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა თებერვლის დასაწყისში პოლონელების სტუმრობა ჯერ იუგოსლავიაში, ხოლო შემდეგ შორეულ კუვეიტში. აი, შემდგომი გეგმებიც: გმოხი აპირებს უახლოეს ხანებში ესტუმროს საბერძნეთს, სადაც გაიმართება შეხვედრა ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან აეკ-თან ან „ოლიმპიაკოსთან". 22 მარტისთვის დანიშნულია შეხვედრა ლუქსემბურგის ნაკრებთან მეტოქის მინდორზე, 5 აპრილს პოლონელები მიიღებენ საბერძნეთის ნაკრებს, 12 აპრილს — ისლანდიის ნაკრებს, 22 აპრილს — უნგრეთისას. 26 აპრილისთვის დანიშნულია კიდევ ერთი „რეპეტიცია" — ამჯერად ავსტრიის ნაკრებთან. ამის შემდეგ პოლონელები მხოლოდ სხვადასხვა საკლუბო გუნდებთან აპირებენ შეხვედრას.

მწვრთნელი გმოხი ძალიან კმაყოფილია წილისყრის შედეგებით. „მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრა კარგი გამოცდა იქნება ჩვენთვის. რაც შეეხება მექსიკელებსა და ტუნისელებს, ჩვენ მათი არ გვეშინია". როდესაც პოლონელმა ჟურნალისტებმა აზრი ჰკითხეს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს გურსკის, მან თქვა: „მექსიკის ნაკრებს დიდი წარმატებები აქვს. მას შეუძლია ჯგუფში მეორე ადგილისთვის იბრძოლოს". ამავე დროს გურსკიმ აღნიშნა, რომ პოლონელებს მაინც უპირატესობა ენიჭებათ მექსიკელებთან შედარებით. ამ ორი წლის წინ ეს გუნდები მექსიკაში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ორივე მატჩი მოიგეს პოლონელებმა — (2:1 და 1:0).

ერთი სიტყვით, პოლონელი ექსპერტების ტონი შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც თავშეკავებულად ოპტიმისტური.

პოლონეთის ნაკრების ძირითადი კანდიდატების სია ჯერ არ გამოცხადებულა. გმოხი უცდის საწვრთნელი მატჩების შედეგებს.

კარგა ხნის მანძილზე ნაკრების ხელმძღვანელობა ცდიდა სხვადასხვა მეკარეებს. ეს იმით აიხსნებოდა, რომ პოპულარულ მეკარე ტომაშევსკის, რომლის სიმაღლე თითქმის ორ მეტრს აღწევს, ხანგრძლივი კრიზისი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ტომაშევსკის შემცვლელებმა არ გაამართლეს იმედები, მწვრთნელმა ისევ მას მოუხმო და სწორადაც მოიქცა. როგორც პოლონური გაზეთები „პშეგლონდ სპორტოვი" (ვარშავა) და „სპორტი" (კატოვიცე) იუწყებიან, ახლა ტომაშევსკიმ აღადგინა ადრინდელი ფორმა, იგი ზუსტად და საიმედოდ თამაშობს.

საერთოდ, თუ უკანასკნელი სეზონის მატჩების მიხედვით ვიმსჯელებთ, გმოხმა აშკარად აიღო კურსი ვეტერანებზე. დაცვაში ისევ ვხედავთ გორგონს, ჟმუდასა და შიმანოვსკის, შუა ხაზზე — დეინასა და კასპერჩაკს. დეინა, საერთოდ, განსაკუთრებული ფიგურაა პოლონეთის ფეხბურთში. რამდენჯერმე გამოიყვანეს იგი ნაკრებიდან, მიიჩნიეს, რომ საჭირო ახალი ნახევარმცველების დაწინაურება! თითქოს არაფერი მომხდარაო, დეინა აუმჯობესებდა თამაშს და ისევ შეჰყავდათ ნაკრებში. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ თუ რამდენიმე საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა, დეინა შევა „ასიანთა კლუბში", ფეხბურთელთა იმ მეტად მცირერიცხოვან ჯგუფში, რომელთაც თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში 100 და მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული.

თავდასხმის სამეულში მეტწილად გამოდიან ლატო, შარმახი და კუსტო. არ არის გადოხა, რომელიც ახლა უცხოეთში თამაშობს, მაგრამ შეიძლება გმოხმა, როგორც იგი ამას შესარჩევი მატჩების დროს აკეთებდა, მოიწვიოს პოპულარული ცენტრალური თავდამსხმელი ლიუბანსკი. 31 წლის ლიუბანსკი ახლა გამოდის ბელგიის კლუბ „ლოკერენში" და ჩინებული შედეგებიც აქვს. ლატო და შარმახი თამაშობენ ისევე კარგად, როგორც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის დროს. ყურადღებას იპყრობს ახალი ცენტრალური თავდამსხმელი ივანიც.

გმოხი, რომელიც ხშირად აძლევს ინტერვიუს პოლონელ ჟურნალისტებს, კმაყოფილია ნაკრების ძირითადი შოთამაშეების ფორმით. აი, რა განუცხადა მან გაზეთ „სპორტის" კორესპონდენტს კუვეიტის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც პოლონელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1 (ორი ბურთი გაიტანა ივანმა, ერთი — ლატომ).

— „ტემპერატურა 25 გრადუსი იყო, ამან გარკვეული სიძნელეები შეგვიქმნა, რადგან კუვეიტში გაფრენის წინ, როგორც ცნობილია, იუგოსლავიაში ვთამაშობდით (1:0 ლიუბლიანის „ოლიმპიასთან", გოლი გაიტანა კუსტომ), აქ კი მხოლოდ 8 გრადუსი იყო. კუვეიტის ნაკრები სუსტი არ გახლავთ. არაბ ფეხბურთელებს ჩინებული ტექნიკა აქვთ და თამაშის მანერით ბრაზილიელებს ჩამოგავან. ეს გასაგებიც არის — ამ გუნდს ხომ კარგა ხანს გამოჩენილი ბრაზილიელი მწვრთნელი მარიო ზაგალო ედგა სათავეში".

აი, პოლონელების შემადგენლობა ამ მატჩში: ტომაშევსკი (კუკლა), სობჩევსკი, ჟმუდა (გორგონი), მაცულევიჩი, შიმანოვსკი, კუპცევიჩი (კასპერჩაკი), ლატო, ნავალკა, ივანი (შარმახი), ბონეკი, კუსტო.

ვარშავაში დაბრუნების შემდეგ გუნდმა გააგრძელა საწვრთნელი ვარჯიში.

იმასთან დაკავშირებით, რომ წამყვანი ფეხბურთელების მზადყოფნა აშკარად გაუმჯობესდა, პოლონელებსაც მეტი იმედი მიეცათ.

„ჩვენ ნახევარფინალს უნდა მივაღწიოთ გფრ-ის, ჰოლანდიისა და არგენტინის ნაკრებებთან ერთად" — თქვა გუნდის სნაიპერმა ლატომ. მომავალი გვიჩვენებს, თუ რას ემყარება ეს ოპტიმისტური განცხადება.

დასასრული. იხ. „ლელო" № 52.



ს უ რ ა თ ზ ე: 1974 წლის ჩემპიონატი. პოლონეთისა და არგენტინის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი (გაიმარჯვეს პოლონელებმა — 3:2).

## ყველაზე ახალგაზრდული

### მექსიკელები მსოფლიოს ჩემპიონატებში

1930 — საფრანგეთთან 1:4, ჩილესთან 0:2, არგენტინასთან 3:6.

1950 — ბრაზილიასთან 0:4, იუგოსლავიასთან 1:4, შვეიცარიასთან 1:2.

1954 — ბრაზილიასთან 0:5, საფრანგეთთან 2:3.

1958 — შვეციასთან 0:3, უელსთან 1:1, უნგრეთთან 0:4.

1962 — ბრაზილიასთან 0:2, ესპანეთთან 0:1, ჩეხოსლოვაკიასთან 3:1.

1966 — საფრანგეთთან 1:1, ინგლისთან 0:2, ურუგვაისთან 0:0.

1970 — საბჭოთა კავშირთან 0:0, სალვადორთან 4:0, ბელგიასთან 1:0, იტალიასთან 1:4.

მექსიკის ფეხბურთს შარშან 75 წლის იუბილე ჰქონდა. 1928 წელს მექსიკელებმა ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებში პირველი ოფიციალური მატჩი გამართეს ესპანელებთან და დამარცხდნენ 1:7. ამ დროიდან მოყოლებული მექსიკელები სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონატებში (არგენტინაში გამოსვლა მათთვის უკვე მერვე იქნება) და ოლიმპიურ თამაშებში, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არა ჰქონიათ.

პირველ დაბრკოლებას — შესარჩევ ჯგუფს — მექსიკელები იოლად გადალახავენ ხოლმე. ისინი ხომ თავიანთ მეზობელ ქვეყნებს ეთამაშებიან, რომლებიც ვერ უწევენ ჯეროვან წინააღმდეგობას. აი, ფინალი კი სხვა საქმეა.

შარშან თებერვალში გუნდს სათავეში ჩაუდგა 49 წლის ხოსე ანტონიო როჩა. ადრე იგი ნაკრებში თამაშობდა როგორც მცველი. როჩას, ცხადია, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ფინალში მონაწილეობა საგანგებო მზადებას მოითხოვდა. ამიტომ მან საკონტროლო მატჩების მთელი სერია გამართა — იუგოსლაველებთან 5:1 და 0:1, უნგრელებთან 1:1, პერუს ნაკრებთან 1:1 და 2:1. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფრე 2:2 მსოფლიოს ჩემპიონთან — გფრ-ს ნაკრებთან, ამასთან ამ მატჩს მექსიკელები იგებდნენ კიდეც ანგარიშით 2:0. მექსიკელები შეხვდნენ საკლუბო გუნდებსაც. ციურიხის „გრასჰოპერსი" დაამარცხეს ანგარიშით 8:0, ამასთან 4 ბურთი 19 წლის სანჩესმა გაიტანა. ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ნეცერი, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა, პირდაპირ აღფრთოვანებული დარჩა ჭაბუკი მექსიკელის თამაშით.

ახლა კი მოვუსმინოთ „გრასჰოპერსის" მწვრთნელ ჰელმუტ იოჰანსონს. „ფავორიტებმა ჯეროვნად უნდა შეაფასონ მექსიკის ნაკრების ძალა. ტაქტიკური თვალსაზრისით მექსიკელებს შესამჩნევი წარმატებები აქვთ. ისინი თამაშობენ თანამედროვე ფეხბურთს ძალზე მიზანდასახულად და სწრაფად. მაღალ ტემპს მექსიკელები მთელი 90 წუთის განმავლობაში ინარჩუნებენ".

ერთი სიტყვით, მექსიკელების მზადება ფრიად სოლიდურ ხასიათს ატარებს. აი, რას ამბობს მწვრთნელი როჩა: „ბუნებრივია, მსოფლიოს ჩემპიონი გფრ-ს ნაკრები და პოლონელები ჩვენ ჯგუფში ფავორიტებად ითვლებიან. მაგრამ ჩემს გუნდსაც, როგორც ამას შედეგები გვიჩვენებენ, უკანასკნელ წლებში უდავო პროგრესი ჰქონდა. ვიმედოვნებ, რომ იგი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გაგრძელდება... ვფიქრობ, გარკვეული შესაძლებლობები გვაქვს, მეორე ფინალურ ჯგუფში (8 უძლიერეს გუნდს შორის) რომ მოვხვდეთ".

მექსიკელთა მზადების დასკვნითი ეტაპი დასავლეთ ევროპაში ტურნე იქნება (24 აპრილი — 8 მაისი). დაგეგმილია 5 მატჩი შოტლანდიის, ესპანეთისა და ავსტრიის ნაკრებებთან, აგრეთვე გფრ-ის ორ ძლიერ საკლუბო გუნდთან. მზადების გეგმაში შედის შეხვედრა ბრაზილიის ნაკრებთანაც ლოსანჯელესში. მექსიკელები აპირებენ შეხვდნენ ბრაზილიის საკლუბო გუნდებსაც, რომლებსაც მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე მოიწვევენ (იტევს 108 499 მაყურებელს).

რა ვიცით მექსიკის ნაკრების შემადგენლობის შესახებ?

კარს იცავს კასტრეხონი. იგი 31 წლისაა, 46-ჯერ იცავდა ნაკრების კარს. მშვიდია და საიმედო. ჩინებულად მოქმედებს საჯარიმოზე. მეორე მეკარე რეიესი სულ 21 წლისაა. ნაკრებში ჯერჯერობით გამოდის მხოლოდ საკლუბო გუნდების წინააღმდეგ.

დაცვაში გამოჰყოფენ სტოპერებს. 32 წლის გუზმანი მეტად ძლიერია ფიზიკურად, ჩინებულად თამაშობს თავით. რამოსი 28 წლისაა, კარგი პოზიციური მოთამაშე, მოქნილი და მარჯვე. 29 წლის ტრუხილიოს შეუძლია ითამაშოს დაცვის ორივე ფრთაზე. ამ ბოლო ხანებში ყურადღებას იპყრობს 24 წლის ნახერა, სწრაფი მარჯვენა მცველი, რომელიც თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებასთან ერთად მარჯვედ ერთვება იერიშში, უტევს მეტოქის კარს. ასევე შეუძლია კარგად ჩაერთოს იერიშებში 26 წლის ვასკესსაც რომელიც მარცხენა მცველად თამაშობს. 20 წლის ტენა პრეტენზიას აცხადებს სტოპერის პოსტზე.

შუა ხაზი თითქმის უცვლელი შემადგენლობით გამოდის — კარდენასი დე ლა ტორე — კუელარი. 24 წლის კარდენასი ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მას კარგი ტექნიკა და ტაქტიკური ალღო აქვს, თამაშობს კომბინაციურად, ჩინებული გადაცემებით ამარაგებს თავდასხმას, 25 წლის დე ლა ტორე თავისი ძალების სრული გაფურჩქვნის პერიოდშია. იგი დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია. ჩინებული ფიზიკური კონდიცია საშუალებას აძლევს „კარიდან კარამდე" ფრიად პროდუქტიულად ითამაშოს. თამაში ჭკვიანურად მიჰყავს 24 წლის კუელარს, რომელიც ნაკრების ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. თუ საჭირო ხდება მეტოქის რომელიმე გამოჩენილი ფეხბურთელის თამაშიდან გამორთვა, ამ ამოცანას ავალებენ 24 წლის ჩავესს.

თავდასხმის ძირითადი სამეულია ორტეგა-რანგელი-სანჩესი. საინტერესოა, რომ სამივეს საერთო ასაკი 59 წელია, რანგელი და ორტეგა ოცი წლისანი არიან, სანჩესი კი ერთი წლით უმცროსია. მარჯვენა გარემარბი ორტეგა სწრაფია და კარსაც სახიფათოდ ემუქრება. რანგელი, ცენტრალური თავდამსხმელი, ნაკრების მთავარი სნაიპერია. სანჩესი ბევრი სპეციალისტის აზრით, თავისი ასაკის მიუხედავად, უკვე საერთაშორისო კლასის თავდამსხმელია. მისი შეკავება მთელი პრობლემაა. სანჩესს ძლიერი დარტყმა, გოლის ალღო აქვს. გარდა ამ ნამდვილად შესანიშნავი სამეულისა, ნაკრებში ხანდახან თამაშობენ თავდამსხმელები ისიორდია (ჩინებული ტექნიკისა და დრიბლინგის მქონე), აჩევასი და ჰიმენესი.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მექსიკის ნაკრები ყველაზე ახალგაზრდულია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მონაწილეთა შორის. მისი საშუალო ასაკი მხოლოდ 23,5 წელს უდრის!

## პირველად...

ტუნისელები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პირველად მონაწილეობენ. მიმომხილველები შეთანხმდნენ, რომ ეს გუნდი, ეტყობა, ყველაზე სუსტი იქნება 16 ფინალისტს შორის, მაგრამ მასაც აქვს თავისი მიზანი — უნდა მოიგოს თუნდაც ერთი შეხვედრა. საქმე ის არის, რომ აფრიკის წარმომადგენლები არაერთგზის გამოსულან ფინალში (1930 წ. — ეგვიპტე, 1970 წ. — მაროკო, 1974 წ. — ზაირი), მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმესთვის მოეგოთ. ახლა ტუნისელები აპირებენ „გატეხონ ნავსი" და ამისთვის საგანგებოდ ემზადებიან.

ტუნისის გუნდს სათავეში უდგას 39 წლის მეჯიდ ჩეტელი. ადრე იგი, თავისი ქვეყნის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი, მისი კაპიტანი იყო, რომლის ღირსებასაც 68-ჯერ იცავდა. შემდეგ ჩეტელი შევიდა ქალაქ კიოლნის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში, სადაც მეცადინეობდა ისეთ გამოჩენილ სპეციალისტთან, როგორიც „კიოლნის" ახლანდელი ხელმძღვანელი ვაისვაილერი გახლავთ. მწვრთნელთა სკოლის დამთავრების შემდეგ ჩეტელი პრაქტიკას გადიოდა ბუნდესლიგის სხვადასხვა კლუბში. 1975 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ ნაკრებს. ამ ხნიდან მოყოლებული ტუნისის ნაკრებმა 47 ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა და მოიგო 25. ყველაზე დიდი მიღწევა იყო იუგოსლავიის ნაკრების დამარცხება — 2:1. მიაჩნიათ, რომ შედარებით მოკლე დროის მანძილზე ჩეტელმა ტუნისის ნაკრების მოთამაშეებთან მუშაობაში დიდ წარმატებებს მიაღწია, გადააჩვია ზედმეტად ინდივიდუალურ თამაშს, ჩაუნერგა კოლექტიური მოქმედების სულისკვეთება. ევროპული ნაკრებებიდან ტუნისელები აშკარად ჩამოგავან ფრანგებს.

ახლა ტუნისელები შინ ემზადებიან. აპრილ-მაისში მათ განზრახული აქვთ ევროპაში ტურნეს მოწყობა, შეხვდებიან ესპანეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის ნაკრებებს, „ლიდს იუნაიტედს". გარდა ამისა, ტუნისელები აპირებენ აფრიკის რამდენიმე ნაკრებთან თამაშსაც. მაისის მეორე ნახევარში ტუნისელები გფრ-ში, ჰენეფის სპორტულ სკოლაში დასკვნით შეკრებას გაივლიან. განზრახულია ორი ამხანაგური მატჩი ბუნდესლიგის გუნდებთან, რის შემდეგ ნაკრები არგენტინაში გაფრინდება.

ნაკრების ფეხბურთელები ადრე მზადებას თავიანთ საკლუბო გუნდებში გადიოდნენ. სხვათა შორის, აქ ტუნისელებთან ერთად უცხოელებიც მუშაობენ — სპორტის დამსახურებული ოსტატი პარამონოვი, განთქმული იუგოსლაველი ფეხბურთელი ბობეკი, ბულგარელი ალაჯოვი. ისე, რომ მეჯიდ ჩეტელს შეუძლია სავსებით ენდოს ამ სპეციალისტებს. ნაკრებში მისი თანაშემწეა ტოფიკ ბელგუითი.

ტუნისელთა კარს უკვე 14 წელია იცავს სასი სადოკ ატოუგა. იგი 32 წლისაა. თუ ტუნისელებს დავუჯერებთ, ნაკრებში 167-ჯერ ითამაშა. ფიფა მას ამ მიღწევას მაინც არ უთვლის მსოფლიოს რეკორდად (რომელიც 108 მატჩით ბობი მურს ეკუთვნის). ფიფა განმარტავს, რომ ამ შეხვედრების დიდი ნაწილი ატოუგამ ითამაშა საკლუბო გუნდების წინააღმდეგ, ასეთ შემთხვევებს კი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური სტატისტიკოსები არ აღრიცხავენ. ასეა თუ ისე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ატოუგა № 1 მეკარეა აფრიკის კონტინენტზე. მის გარდა, ნაკრებს კიდევ 3 მეკარე ჰყავს — ლამინე, ზაიანი და დეროუიკე.

მცველთა ძირითად ოთხეულად ითვლება: დუიები — ქამალი — ჰასმი — კააბი. მათგან გამოჰყოფენ დუიებს, რომელიც მეტად მტკიცედ, თავდადებულად თამაშობს, აგრეთვე 192 სმ სიმაღლის სტოპერ ქამალს.

მიიჩნევენ, რომ გუნდს ძლიერი ნახევარმცველები ჰყავს. შუა ხაზზე გამოდიან გომიდი — აგრები — ტარეკი. მათ შორის საუკეთესოა 23 წლის ტარეკი, ჩინებული გამთამაშებელი, რომელიც 1977 წელს ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად პარიზის ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" აფრიკის № 1 ფეხბურთელად აღიარა. ტარეკს 50 მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნულ ნაკრებში და მოელიან, რომ იგი თავს გამოიჩენს არგენტინაში.

თავდასხმაში უმეტეს შემთხვევაში თამაშობენ ტემიმე — აკიდი — ლიმამი. ტემიმე ჩინებული მარჯვენა გარემარბია. იგი უცხოეთში, საუდის არაბეთში თამაშობს და ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდება. ტუნისში ფრიად პოპულარულია თავდამსხმელი ბენ აზიზა. ეროვნულ ჩემპიონატში, სადაც 14 გუნდი მონაწილეობს, ბენ აზიზას ბევრი გოლი გააქვს და ქვეყნის პირველ სნაიპერად ითვლება.

გ. თორელი.



ცსკა-მ უკვე კარგა ხანია მონახა თამაშის ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც, ჩვენი აზრით, იდეალურს უახლოვდება. ამ ოპტიმალურ ვარიანტში ზუსტად არის ნაგულისხმევი თითოეული კალათბურთელის შესაძლებლობანი. ცსკა ეროვნება, თამაშად მიმართავს ტაქტიკური სქემების მონაცვლეობას და იყენებს მას ყველა კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. ხოლო ცალკეულ მოთამაშეთა მაღალი ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება გუნდს ექსპერიმენტირების საშუალებას აძლევს. ესაა თანამედროვე კალათბურთისთვის დამახასიათებელი ძიება თვით ბრძოლის პროცესში და არა მხოლოდ, საწინაო აქტიურობით.

სპარტაკი ადგილის მეორე პრეტენდენტი, ლენინგრადის „სპარტაკი" საკმაოდ სტაბილური გუნდია, რომლის ეს სტაბილურობა უფრო ცალმხრივია და ამიტომაც ნაკლებად ეფექტური. უკვე რამდენი წელია „სპარტაკს" მთავარი აქცენტი დაცვაზე აქვს გადატანილი. აქ იგი საოცრად მრავალმხრივია და მობილური. მაგრამ დაცვა თამაშის მხოლოდ ერთი საფეხურია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ლოგიკურ გაგრძელებას მოითხოვს. შეტევაში და მაშასადამე, ბრძოლის დამამთავრებელ ფაზაში „სპარტაკი" უფრო ღარიბია, უფრო მარტივი და ნაკლებად ეფექტური.

# მესამე პრობლემა

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. გუნდებს, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან, ჩასატარებელი დარჩათ 9-9 შეხვედრა. მარათონული ტურნირის ამ გადამწყვეტ ეტაპს შემორჩა მხოლოდ ოთხი კოლექტივი — ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი", თბილისის „დინამო" და კაუნასის „ჟალგირისი".

რა შეიძლება ითქვას უკვე ჩატარებულ ბრძოლებსა და დარჩენილ შეხვედრებზე? არის თუ არა მოსალოდნელი რაიმე არსებითი ცვლილებები სატურნირო ცხრილში?

ბოლო ცხრა მატჩი, რა თქმა უნდა, ვერ შეარყევს მოსკოვის არმიელთა პოზიციას უმაღლეს ტიტულისთვის ბრძოლაში. ცსკა-მ პირველ ორ ეტაპზე ქულების ისეთი მტკიცე მარაგი შექმნა, რომ ახლა გულდამშვიდებით შეუძლია თვალი ადევნოს დარჩენილი ბრძოლების მსვლელობას.

არმიელთა წარმატება ამ ჩემპიონატშიც, ტრადიციულად შემადგენლობის სტაბილურობამ განსაზღვრა. ცსკა ერთადერთი გუნდია, რომელიც თავის თავს უფლებას აძლევს დაასვენოს ხუთეული და მთელ რიგ მატჩებში „შესუსტებული" შემადგენლობით გამოვიდეს. ამით არმიელთა თამაშის სტილი და სქემა არ იცვლება. პირიქით, ზოგ შემთხვევაში ახალგაზრდობა მეტ უნარს, მეტ მონდომებას ავლენს, თამაშობს უფრო გაბედულად, უფრო ლაღად და ცხადია, წარმატებასაც კანონიერად აღწევს.

ამბობენ, როგორც გიჭირს, ისე უნდა გილხინდესო. ლენინგრადელთა ეს ნაკლი, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არაა გამოწვეული და გუნდიც თავისი შესაძლებლობის მიხედვით შლის ფრთებს.

მესამე პრეტენდენტი თბილისის „დინამოა". ჩემპიონატის სტარტზე თბილისელთა წინაშე საკმაოდ კონკრეტული ამოცანა იყო დასმული — გუნდი უსათუოდ უნდა გასულიყო რვა უძლიერესთა ტურნირში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრამ, ბუნებრივია, დინამოელები ახალი, უფრო რთული პრობლემის წინაშე დააყენა.

რატომ იყო ეს მეორე პრობლემა უფრო რთული? იმიტომ, რომ ზემოთ დასახელებულ გუნდებთან ერთად ანალოგიური ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი კაუნასის „ჟალგირისს", მოსკოვის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელს". აღარაფერს ვამბობთ ტალინისა და რიგის გუნდებზე, რომლებიც ბოლო მომენტამდე გაშმაგებით იბრძოდნენ ოთხეულში ადგილისთვის.

დღეს დიდი კმაყოფილების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის „დინამომ" წარმატებით გაართვა თავი სირთულეებს და ლიდერთა კვარტეტში მესამე საპატიო ადგილი დაიკავა. დაძლეული იქნა მეორე პრობლემა და გუნდი ახლა უკვე თამაშობს შედეგის ფიქრისაგან თავისუფლად.

მაგრამ ის, რაც დღეს ასე ცხადად ჩანს, ჯერ კიდევ გუშინ იყო საფრთხე რამდენიმე კონკრეტულ მიზეზით. აბა კარგად გადახედეთ სატურნირო ცხრილს: განა მოსკოვის „დინამო" არ შეიძლება ყოფილიყო ამავე კვარტეტის მონაწილე? ან „სტროიტელი" თავისი ტაქტიკურად ძლიერი და ფიზიკურად მომზადებული მოთამაშეებით, ტალინის „კალევი" და რიგის „ვეფ"-ის კალათბურთელები? ამ გუნდებს ხომ ჰყავთ ცალკეული ძლიერი მოთამაშეები, მიზანში ზუსტი სნაიპერები და კარგი დირიჟორებიც. და თუ რომელიმე ზემოდასახელებული გუნდი ამ მორევში ფონს ვერ გავიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მორალური წრთობა დააკლდა.

სხვებს დააკლდა, თბილისის „დინამომ" კი ამ მხრივაც გამოიჩინა თავი.

დაგვერწმუნეთ, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორის როლის გაზვიადება თბილისელთა მაგალითზე უბრალო ახირება არაა. ჩვენი გუნდი ჩემპიონატის მსვლელობაში რამოდენიმეჯერ აღმოჩნდა ცაიტნოტში. განსაკუთრებით მძიმე დღეები გადაიტანეს დინამოელებმა, როცა შემადგენლობას ერთბაშად გამოაკლდა სამი წამყვანი მოთამაშე — ჩიხლაძე, პულავსკი და ბიჭიაშვილი. ეს იყო პერიოდი, როცა უძლიერესთა კვარტეტში ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როცა გუნდს ექსპრომტად უნდა შეეცვალა თამაში და ერთხელ კიდევ გამოეტანა სამსჯავროზე თავისი ხვალინდელი დღე და შესაძლებლობანი.

ზოგი ჭირი მართლაც რომ მარგებელია. „დინამომ" თამამად გააღო თავისი სათადარიგო კარი და უკვე დაკანონებულ შემადგენლობას, ყოველმხრივ აპრობირებულ ხუთეულს ახალი ნაკადი შემოუერთა.

დღეს აზრი არა აქვს დავას იმის შესახებ, თუ რამდენად სწორი იყო ეს გაბედული ექსპერიმენტი. ფაქტი თავისთავად არის ჯიუტი. „დინამომ" მეორე დაბრკოლებაც წარმატებით გადალახა და ახლა ბოლო შტურმისთვის ემზადება. ამ შტურმში მას უფრო მეტი მოკავშირე ჰყავს — ძველებიც, ახალგაზრდებიც და ალბათ ამიტომ მიზანიც უფრო ნათელია.

17 მარტს მოსკოვში განახლდება საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. „დინამო" სხვა სამ მეტოქესთან ერთად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ნ. გუგუშვილი

## კალათბურთი

# დალიპაგიჩი — ევროპაში საუკეთესო

ისევე როგორც ფეხბურთში, კალათბურთშიც ყოველი სპორტული სეზონის ბოლოს ასახელებენ სეზონის საუკეთესო მოთამაშეს. პრიზი ევროპის საუკეთესო კალათბურთელისათვის დააწესა იტალიურმა საკალათბურთო რევიუმ „ჯიგანტი დელ ბასკეტმა".

მილანში გამართულ ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტი ხმა (410) მოაგროვა იუგოსლავიის ნაკრებისა და ბელგრადის „პარტიზანის" თავდამსხმელმა დრაჟენ დალიპაგიჩმა. მეორე ადგილი წილად ხვდა იუგოსლავიის ნაკრებისა და ლიუბლიანას „ბრესტის" ცენტრალურ თავდამსხმელს კრეშიმირ ჩოსიჩს, ხოლო მესამე—ევროპის ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელის ტელ-ავივის „მაკაბის" ერთ-ერთ ლიდერს მიკ ზერკოვიცს.

დალიპაგიჩის წარმატება წლევანდელ სეზონში სავსებით კანონზომიერი გახლდათ და მას ზურგს უმაგრებდა ლაურეატის შესანიშნავი თამაში მთელი სეზონის და განსაკუთრებით კი საპასუხისმგებლო მატჩების დროს ევროპის ჩემპიონატზე.

დრაჟენ დალიპაგიჩი დაიბადა 1951 წელს. მისი სიმაღლეა 196 სმ. დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით გამოდის იუგოსლავიის ნაკრებისა და ბელგრადის „პარტიზანის" შემადგენლობაში. კლუბში დალიპაგიჩი დრაგან კიჩანოვიჩთან ერთად ამინდს ქმნის მოედანზე. ჭეშმარიტებისაგან შორს არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ დალიპაგიჩმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იუგოსლავიის ნაკრების უკანასკნელ წარმატებებში და მასთან ერთად გახდა ევროპის სამგზის ჩემპიონი (1973 წ. ბარსელონა, 1975 წ. ბელგრადი, 1977 წ. ლიეჟი), მსოფლიოს 1974 წლის და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი.

1976 წელს დალიპაგიჩი ამ კონკურსში მეორე ადგილზე გავიდა. პირველი იყო იტალიის ნაკრებისა და „ფორტ-კანტეს" (დღევანდელი „გაბეტი") მცველი პიერინო მარზორატი. მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ დალიპაგიჩი სტაჟირებას გადიოდა ცნობილ პროფესიონალურ კლუბში „ბოსტონ სელტიკსში".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დალიპაგიჩმა ძალიან ძლიერად ითამაშა ევროპის ჩემპიონატის მატჩები, განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა მან ნახევარფინალური მატჩი იტალიელებთან და ფინალური მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან. იუგოსლავიელებთან ნახევარფინალური მატჩის შემდეგ თავისი გუნდის მარცხით გულდაწყვეტილმა იტალიელთა მწვრთნელმა ჯან კარლო პრიმამ ვერ დაფარა თავისი აღტაცება დალიპაგიჩის თამაშით და სამჯერ შესძახა: „დალიპაგიჩ ფანტასტიკოს!" დალიპაგიჩის თამაშს ევროპის ჩემპიონატზე კარგი შეფასება მისცა ა. ი. გომელსკიმ თავის სტატიაში „ნაკრების ვერცხლის შემოდგომა".

აი, დაახლოებით ზოგად შტრიხებში ასეთია ევროპის 1977 წლის საუკეთესო კალათბურთელი დრაჟენ დალიპაგიჩი.

მ. კალანდაძე.

# ნყვილები ცნობილია

14 მარტს ლვოვის „კარპატის" ფეხბურთელებმა სსრ კავშირის თასის მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ლენინგრადის „დინამო" და უფლება მიიღეს განაგრძონ ბრძოლა საპატიო პრიზისთვის. მათი მეტოქე იქნება ლენინგრადის „ზენიტი".

თასის მეთექვსმეტედფინალის სხვა 15 წყვილის შემადგენლობანი ასეთია: „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „შახტიორი" (დონეცკი), „არარატი" (ერევანი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „ნეფთჩი" (ბაქო) — „შინიკი" (იაროსლავლი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — ასკ (ოდესა), „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „თერგი" (გროზნო), „ფახტაქორი" (ტაშკენტი) — ასკ (კიევი), „გოლმაზი" (ნალჩიკი) — „დინამო" (თბილისი), „ქაირათი" (ალმაათა) — „ფაკელი" (ვორონეჟი), „სპარტაკი" (რიაზანი) — „დინამო" (კიევი), „ჩერნომორეცი" (ოდესა) — ასკ (როსტოვი), „პამირი" (დუშანბე) — „დინამო" (მოსკოვი), ცსკა — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი), „ზარია" ვოროშილოვგრადი) — „შინიკი" (ლენინაკანი), „ტორპედო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი).

პირველი მატჩები შედგება 18 მარტს პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე, ხოლო საპასუხო შეხვედრები — 24 მარტს.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).**

სტუდენტებმა ანგარიში გახსნეს უკვე მე-10 წუთზე (ქავთარაძე), მერე კი მებუკემ მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში. შესვენების შემდეგ „ჩიხურამ" გააძლიერა თამაში, მაგრამ შეძლო მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა (წიკლაური).

**„სპარტაკი" (თბილისი) — „მზიური" (გალი) 1:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

ორმხრივი იერიშების შემდეგ, 25-ე წუთზე, წარმატებას მიაღწია სპარტაკელმა ხუბსუჟიშვილმა. შემდგომში გალელებს ჰქონდათ საშუალება დაეღწიათ თავი დამარცხებისთვის, მაგრამ კარგად ითამაშა თბილისელთა მეკარე გაგოშიძემ.

## საქართველოს ჩემპიონატი

**„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

ტაიმს შედეგი არ მოუცია. დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩის მეორე ნახევარიც და 85-ე წუთზე ლომსაძის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა ჭიათურელებს.

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**

ტაიმი დამთავრდა რუსთაველთა სასარგებლოდ (გოლი გაიტანა ალადაშვილმა). შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრს უტევდნენ, 71-ე წუთზე კი ერთ-ერთ ამ შეტევას მოჰყვა კიკალეიშვილის საპასუხო გოლი.

**„მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

ორივე გოლის გატანა მახარაძელებმა შეძლეს თამაშის პირველ ნახევარში. ჯერ ეს გააკეთა გეგიაძემ, შემდეგ კი სართანიამ.

**„სალხინო" (გეგეჭკორი)— „სქური" (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

თამაში დაიწყო მასპინძელთა უპირატესობით, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის შემდეგ გოლი გატანილი იქნა ცანავას მიერ. სტუმრებმა კარგად ჩაატარეს თამაშის მეორე ნახევარი და დააღწიეს კიდეც თავი დამარცხებას. საპასუხო გოლის ავტორია დრაჩი.

## ფეხბურთი

**„ივერია" (ხაშური) — „ნადიკვარი" (თელავი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

ხშირი ორმხრივი იერიშის მიუხედავად ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. ხაშურელებმა გამარჯვებას მიაღწიეს ლომიძის მიერ 75-ე წუთზე გატანილი ბურთის მეოხებით.

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „კოლხეთი" (ხობი) 0:3. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

შეხვედრის პირველი წუთები მიმდინარეობდა მასპინძელთა უპირატესობით, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. მე-18 წუთზე ოჩამჩირელმა ტროშინმა უხეში შეცდომა დაუშვა მეკარისთვის ბურთის მიწოდებისას, მას მიუსწრო გვასალიამ და გახსნა ანგარიში. ტაიმის დასასრულს იმავე გვასალიამ კონტრშეტევის დროს მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. 82-ე წუთზე გოგოლაშვილმა ვერ გამოიყენა ხობელთა კარში დანიშნული პენალტი, რამდენიმე წუთის შემდეგ კი გვასალიამ კვლავ გამოიჩინა თავი და მესამე გოლი გაიტანა.

**„დურუჯი" (ყვარელი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

მასპინძლები დაწინაურდნენ უკვე მე-9 წუთზე (არუთინოვი). მეორე ტაიმში, თამაშის განახლებიდან 10 წუთის შემდეგ, გაგნიძემ განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება.

**„კოლხეთი" (ფოთი) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. ბაშკოვი (ბათუმი).**

**„ეგრისი" (ცხაკაია) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).**

## საჯარიმო ფურცელი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრმა ... წერეთელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის გვერდით მსაჯს, რისთვისაც იგი გაძევებული იქნა მინდვრიდან.

გაძევებულია, აგრეთვე, ყვარელელი გ. ნერსეზაშვილი, რომელიც უდიერად მოეპყრა ერთ-ერთ მეტოქე მოთამაშეს.

## „სპორტლოტო"

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, მეთერთმეტე ტირაჟი.

„სპორტლოტო": 15, 17, 25, 27, 30, 31. შეღავათიანი ბურთულა — 43.

„სპორტლოტო-2": 8, 18, 23, 24, 35, 46. შეღავათიანი ბურთულა — 12.

## მძლეოსნობა

**ნიუ იორკში** გამართულ ამერიკელ სტუდენტთა ზამთრის ერთწლიან პირველობაში ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სტუდენტმა 21 წლის მ. ტალმა ჭოკით 562 სანტიმეტრი გადალახა და 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა მისივე მსოფლიო მიღწევა.

**მონრეალის** დარბაზში გამართულ კანადის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში ამერიკელმა ჯ. მერიმ ქალთა შორის 3000 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 8.57,6. ეს მისივე ნამემამულის ფ. ლარიოს ადრინდელ რეკორდს (9.02,54) ბევრად სჯობს.

## წყალბურთი

**საკავშირო** ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლოსწინა დღეს ტაშკენტში თბილისის „დინამომ" მინიმალური სხვაობით წააგო მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან — 6:7. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო" (ლვოვი) 3:5, „მოსკვიჩი" (მოსკოვი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) 2:3.

ხარკოვში მატჩები ასე დასრულდა: სკიფი (მინსკი) — „დინამო" (კიევი) 3:5, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — „დინამო" (ალმა-ათა) 6:6, „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 5:7.

## ხელბურთი

**კაუნასში** დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. პირველი დღის მატჩები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (კიევი) 18:21, ცსკა — ასკ (ბაქო) 38:24, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „ცელტნიეკსი" (რიგა) 31:22, „კუნცევო" (მოსკოვი) — ასკ (მინსკი) 31:24, „გრანიტასი" (კაუნასი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 31:27, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ასკ (ლვოვი) 26:25.

უმაღლესი ლიგის ყველა თორმეტი გუნდი ჩემპიონატის პირველ წრეს 20 მარტს დაამთავრებს.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07783